ადამიანური რესურსების მართვის როლი თანამედროვე ბიზნესში - 2010-2020 წლებში

ნინო ბლიაძე

სამაგისტრო საფეხური

კურსის ხელმძღვანელი: საბა ჯაჯანიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო

საფეხურის

ლექტორი საბა ჯაჯანიძე

ამავე უნივერსიტეტის ბიზნესის და ტექნოლოგიების სამაგისტრო

საფეხურის

სტუდენტი ნინო ბლიაძე

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქავეყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შეაბამისად.

აბსტრაქტი

ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის სისტემა ბიზნეს სფეროში მოქმედი ორგანიზაციისა და ინსტიტუტისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. დღესდღეობით, მართვის თანამედროვე მიდგომები ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევად სახელდება ნებისმიერ სექტორში. ნაშრომში განხილულია ადამიანური რესურსების მართვის სისტემის დანერგვის მნიშვნელობა ორგანიზაციის ეფექტური მუშაობისთვის. თანამედროვე ეპოქაში რთულია ორგანიზაცია ფუნქციონირებდეს მაქსიმალურად ეფექტიანად და მას არ ჰქონდეს ჩამოყალიბებული ადამიანური რესურსების მართვის სრულფასოვანი სტრუქტურა, შესაბამისად, აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი ერთგვარად ცდილობს გააანალიზოს საკვლევი პრობლემა და იპოვოს გადაჭრის გზები.

კვლევის მიზანს წარმოადგენს შეისწავლოს ადამიანური რესურსების მართვის გავლენა, გაზარდოს ორგანიზაციის შესაძლებლობები და განვითარებისაკენ სწრაფვა, ასევე გაანალიზდეს რა ეტაპებს მოიცავს ადამიანური რესურსების მართვა და რა მეთოდები უნდა გამოიყენონ კომპანიების ხელმძღვანელებმა. აგრეთვე, როგორ უწყობს ხელს სისტემის განვითარება კომპანიის წინსვლას, რა მიზნები და ფუნქციები დაეკისრა ადამიანური რესურსების მართვას და რა საკითხებზე დაყრდნობით მოახერხა თანამედროვე ბიზნესში ადგილი დაემკვიდრებინა, როგორც ერთ-ერთ მოწინავე სფეროს. საკვლევი მიზნიდან გამომდინარე ჩატარდა შერეული ტიპის კვლევა, რომელიც გულისხმობს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივ კვლევას.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ადამიანური რესურსების მართვის გავლენა მკვეთრად შეინიშნება ორგანიზაციებში, სწრაფად ვითარდება და ინერგება განახლებული სისტემა ორგანიზაციებში, კომპანიები ზრუნავენ შექმნან თანამედროვე სამუშაო გარემო, დანერგონ ახალი საფეხურები, სოციალიზაციისა და ადმინისტრირების მიმართულებებში. ადამიანური რესურსების მართვის სისტემა ორგანიზაციას საშუალებას აძლევს გაზარდოს არა მხოლოდ ორგანიზაციის

ეფექტურობა, არამედ საშუალებას იძლევა სწორად და მარტივად იმართოს ადამიანური რესურსი და სწორად მოხდეს კარიერის მართვა, რომელიც ერთგვარად მნიშვნელოვანია როგორც დამსაქმებლისთვის, ასევე დასაქმებულისთვისაც.

საძიებო სიტყვები: ადამიანური რესურსების მართვა, მართვის თანამედროვე მეთოდები, სისტემის დანერგვა, მართვის სისტემის ეტაპები, სტრატეგიის დაგეგმვა, შერჩევის წარმართვა, ადამიანური კაპიტალი.

Abstract

An effective human resource management system is the most important part of an organization and institution operating in the business field. Today, modern approaches to management are called one of the biggest challenges in any sector. The paper discusses the importance of implementing a human resource management system for the effective operation of the organization. In the modern era, it is difficult for an organization to function as efficiently as possible and not have a full-fledged human resource management structure, therefore, this thesis somehow tries to analyze the research problem and find ways to solve it.

The research aims to study the impact of human resource management, increase the organization's capabilities and aspirations for development, as well as what stages the company must go through and what results from the establishment of the system, will bring to the organization. Also how the development of the system contributes to the advancement of the company, what goals and functions have been assigned to human resource management, and on what issues it has managed to establish a place in modern business as one of the leading fields. For the study, a mixed type of research was conducted, which includes both quantitative and qualitative research.

The study found that the impact of human resource management is sharply observed in organizations, rapidly evolving and introducing an updated system in organizations, companies are taking care to create a modern work environment, introduce new levels, as well as technologies in personnel selection, socialization, and administration. The human resource management system allows the organization not only to increase the efficiency of the organization but also to manage the human resources properly and easily and to manage the career properly, which is somehow important for both the employer and the employee.

Search Keywords: human resource management, modern management methods, system implementation, management system stages, strategy planning, sampling management, human capital.